№ 234 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი 10 მან. ქუთაისი, ოქტომბრის 16 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

„მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე..

926 10—8 მომარაგების სამინისტრო.

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობისაიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის უიდვა-გაუიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი 4000 მ.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაუიდონ მატყლი მომხმარებელზე გადასატანის ხარჯისა და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—8 მომარაგების სამინისტრო.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

16 ოქტომბერს 1920 წ.

ოპერა მუშაგისათვის აგესალომ და ეთერი

17 ოქტომბერს

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

942 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახი შვილი.

ფოთის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ფოთის მეორე უბნის სამხმრიგებლო უბნისათვის საჭიროა

მომრიგებელი მოსამართლე

ვისაც სურს ეს ადგილი მიიღოს შეუძლია თავიანთი განცხადება საჭირო საბუთებით გადმოგ-
938 ავნოს ფოთის ქალაქის გამგეობაში. სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა. 3—3

მრეწველობის წესდების მე-76 მუხ. მიხედვით კან. კრებ ტომ. მე-11 ნაწ. მე-2 გამოც. 1913 წ.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი ამით მცხადებს,

რომ მის მიერ გაცემულია შემდეგი დამცველი მოწმობები წარმოდგენილ გამოგონებებზე და გაუმჯობესებაზედ უპირატესობის პრივილეგიის მიცემის შესახებ.

1920 წ. აგვისტოს 9-ს № 1634 ნ. კ. პანცირევს სხვა და სხვა საგნების გასაკეთებლად შენაზავზე—სახელწოდებით „კოგა“.

2) 1920 წ. აგვისტოს 10-ს № 1638 კ. გ. პერეკოტის—მელნის გასაშრობზე სახელწოდებით „პობედა“.

3) 1920 წ. აგვისტოს 17-ს № 1686 ნ. კ. პანცირევს—ბოსტნეულობის და ხილეულობის გასაშრობათ, მოწყობილებაზე სახელწოდებით „ვერა-ცნაპ“.

4) 1920 წ. აგვისტოს 17-ს № 1687 ა. ი. დიდებულიძეს პრეზერზე.

5) 1920 წ. აგვისტოს 30-ს № 1766 ვ. პ. გაბაშვილს უნივერსალურ ჯიბის დანაზე.

6) 1920 წ. სექტემბრის 2-ს № 1789 ბ. ბ. კაეინსკის ქართულ წისქვილებისათვის წყლის გამნაწილებელზე.

7) 1920 წ. სექტემბრის 10-ს № 1825 ს. ბ. ლომიძეს მოწყობილებაზე, რომელიც საშვალებას იძლევა ბავშვებისათვის არითმეტიკის ადვილათ შესწავლას.

8) 1920 წ. სექტემბრის 23-ს № 1896 ვ. ს. ძიძიშვილს სადგურზე რკინის გზის მაჩვენებელზე.

9) 1920 წ. სექტემბრის 23-ს № 1897 ვ. ს. ძიძიშვილს მატარებლების გასაჩერებელ მოწყობილებაზე.

10) 1920 წ. სექტემბრის 25-ს № 1900 გ. ნ. ფლეიშერს მოწყობილებაზე სტრობოსკობის საშვალებით უმავთულო ტელეგრაფის სასწავლებლათ.

11) 1920 წ. სექტემბრის 27-ს № 1908 ა. ა. გოლსს რეზინის კომერაზე „გოლსა“ და შემხრუტავი რკალზე.

სამი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი იღებს სათანადო დასაბუთებულ განცხადებებს იმის შესახებ თუ უკვე ცნობილია, ან შესულია ხმარებაში, ესა თუ ის ზემოაღნიშნული გამოგონება, და ან თუ აქვს მას რუსეთის მიერ მინიჭებული უპირატესობანი.

941 1—1

მრეწველობის წესდების მე-85 მუხ. მიხედვით კან. კრ. მე-11 ნაწ. მე-2 1913 წ.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი ამით აცხადებს,

რომ მის მიერ გაცემულია შემდეგი პატენტები გამოგონებაზე და გაუმჯობესებაზე 1-ლი ოქტომბრამდე ამა წლისა.

პატ. № 1 ნ. გ. თარხან-მოურავს—ქართული ენისთვის სტენოგრაფიაზე ათი (10) წლის ვადით.

პატ. № 2 ნ. ლ. გიორგობიანს—სპეციალურ ფეჩზე თონის გასახურებლათ „რაჭა“-ზე ათი (10) წლის ვადით.

პატ. № 3 კ. გ. კაზაროვს—ეკონომიურ ჯიბის სანთელზე სამი (3) წლის ვადით.

პატ. 4. და 5 კ. პ. პლუენიკოვს—ლამფა ფეჩათ—სახმარზე და ლამფის შუშის მცვლელზე ორივე სამი (3) წლის ვადით.

პატ. 6. ი. ი. მელიქ-გაიკაზოვს—მოწყობილობაზე, რომელიც ელექტრონის საშუალებით აწარმოებს წყალბად და ჟიმიურად სუფთა სპილენძ ჟანგს ათი (10) წლის ვადით.

პატ. № 7. პ. კ. იმიკოვსკს—თუნუქის ლამფის შუშაზე—ფანარზე ხუთი (5) წ. ვადით.

პატ. 9. ე. ი. კოზლოვსკს—ქაღალდისაგან და სხვა სხვა ნართისაგან ლამფის ფიტილების გაკეთებაზე სამი (3) წლის ვადით.

პატ. № 9. ს. ვ. ვარდანიანს—„მიკროჰიდროსკოპ“-ზე, რომელიც შუშის ობექტივის მაგიერ ერთი წვეთი სითხე აქვს ათი (10) წლის ვადით. 941 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

სეზონი 1920—1921 წლისა

შაბათს, ოქტომბრის 16-ს.

გ უ შ ი ნ დ ე ლ ნ ი

კომედია 3 მოქმედებად შალვა დადიანისა.

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, სუზანა ბეჟანიშვილი, მიხეილ გელოვანი, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, იუზა ჯორდალიშვილი, პლატონ კორიშელი არეთე ლოლუა, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ანეტა ქიქოძე, ოლიმპიადა ღოღობერიძე, ელენე ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. **რეჟისორი მ. ქორელი.**

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ანონსი: კვირას, ოქტომბრის 17-ს **„ოიდიპოს მეფე“**

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

936 1—1

ამიერ-კავკასიის ბანკის ბამბეოლა ამით აცხადებს,

რომ 7 ა. წ. ნოემბერს კვირას, დღის 12 საათზე, ამიერ-კავკასიის ბანკის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დანიშნულია არა ჩვეულებრივი აქციონერთა კრება; შემდეგი საგნების გასარჩევად:

1. ბანკის ძირითადი თანხის გადიდება 50.000.000 მ.-დე.
2. განყოფილებების გახსნა საზღვარ გარეთ.
3. ბანკის სახელის შეცვლა.

შენიშვნა: თუ 7 ნოემბერს, კრება არ შესდგა, მეორე კრება თანახმად § 67 ბანკის წესდებისა ინიშნება იქვე 21 ნოემბერს იმავე დროს. 3177 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა

5 ოქტომბერი, 1920 წ. № 33.

შვებულები ეძლევა საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელეს ლიუბოვ ბობოხიძეს მისი ავადმყოფობის გამო, ერთი თვის ვადით, ნოემბრის 5 მდე, ჯამაგირის მიცემით.

9 ოქტომბერს 1920 წ. № 34.

ინიშნებიან: საქართველოს სენატის მდივნის თანაშემწე ევგენი ალექსანდრეს ძე გამრეკელი საქართველოს სენატის მდივნად და სენატის იასაული პავლე გიორგის ძე გიორგაძე საქართველოს სენატის მდივნის თანაშემწედ, ორივე 1920 წლ. ოქტომბრის 9 დან და სამსახურისთვის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში მივლენით, უკანასკნელი აგრეთვე სენატის თარჯიმანის მოვალეობის აღსრულებისაგან განთავისუფლებით.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე

დ. ხელთუფლიშვილი.

—

იუსტიციის მინისტრისა.

7 ოქტომბერი, 1920 წ. № 359.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის ბუჰგალტერის თანაშემწე ელენე რომან ფორაქიშვილის ასული ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

9 ოქტომბერი, 1920 წ., № 361.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს მეეტლეთ კონსტანტინე აბდულაზარის ძე ხუხოვი და მიეცეს მას, როგორც ძირითადი ჯამაგირი თვეში 3.000 მან. ამა წლის სექტემბრის 1-დან საკანცელარიო თანხიდან.

№ 362.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელედ დავით ირაკლის ძე თუთბერიძე ამა წლის სექტემბრის 1-დან.

№ 363.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის შიკრიკად ალექსი ივანეს ძე პატიაშვილი ამა წლის სექტემბრის 1-დან.

12 ოქტომბერი, 1920 წ. № 265

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან შტატ გარეშე დაქირავებული ეგზეკუტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ოლღა ნიკოლოზ ორლოვსკაიას ასული ამა წლის ოქტომბრის 7-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

—

ტფილისის გარე უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

8 ოქტომბერი, 1920 წ.

დაინიშნა: მოქ. ვალერიან კირილეს ძე იოსელიანი თარჯიმნათ ტფილისის გარე უბნის სამომრიგებლო სასამართლოში 8 ოქტომბრიდან ამა წლის.

მომრიგებელი მოსამართლე **ზაალიშვილი.**

შინაგ. საქმ. სამინისტროში.

უძრავ ქონების ჩამორთმევა.

ტფილისში მყოფმა ელინთა მისიის წარმომადგენელმა და ხმელთა შუაჯ ზღვის კომერციულ ბანკის წარმომადგენელმა შინ. საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სოხუმში არსებულ ბინიატ-ოღლის უძრავ ქონების მუშათა მაგიდისათვის გადაცემის შეჩერების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ შუამდგომლობის საპასუხოდ აცნობა, რომ 1919 წლის ივლისის 11 კარონი უძრავ ქონების ჩამორთმევის შესახებ, არ არჩევს უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობიდანო. ამიტომ გადაწყვეტილება ბინიატ-ოღლის უძრავ ქონების ჩამორთმევის შესახებ არ შეიძლება შეცვლილი იქნეს.

იუსტიციის სამინისტროში.

სასამართლოს მდგომარეობა.

იუსტიციის მინისტრმა დაამუშავა და წარუდგინა მთავრობას განსახილველად მოხსენება სასამართლოს მდგომარეობის შესახებ. თავის მოხსენებაში მინისტრი უკანასკნელ ხანებში სასამართლოს მოქმედების გაძლიერებას აღნიშნავს. 1918—1919 წლ. ძველი საქმეები სისრულეში არის მოყვანილი. შენიშნულია საგამომძიებლო რაიონებიდან სხვა და სხვა საქმეების შემოსვლა, რამაც გამოიწვია ტფილისში ოქტ. 9 დან ორ ერთდროულად მომქმედ სისხლის სამართლის სასამართლოს სესიის დანიშვნა. მოხსენებაში აღნიშნულია სასამართლოს არა ნორმალური მდგომარეობა რესპუბლიკაში. უმთავრეს მიზეზად ამ არა ნორმალობისა იუსტიციის მინისტრს მიაჩნია: 1) სასამართლოს ულონობა დააკმაყოფილოს ყოველი მოთხოვნილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ძლიერ ჩქარი ტემპით მიეჭანება წინ. ხშირია შემთხვევები, როცა ადმინისტრატიული დაწესებულებები ერევიან სასამართლოს საქმეებში, მით სცემენ ძირს სასამართლოს ავტორიტეტს და ხელს უშლიან კანონიერების განმტკიცებას. სასამართლოს არა ნორმალურ მდგომარეობის მეორე მიზეზი მომხსენებლის აზრით არის ძველი კანონების დაუძლეველობა და მოუმზადებლობა პირად შემადგენლობისა, რომელთა რთული მოვალეობანი სასამართლო მოღვაწეებიდან დიდ თეორიტიულ მომზადებას და გამოცდილებას მოითხოვს. იუსტიციის მინისტრი ეხება აგრეთვე სასამართლო მოღვაწეთა ნივთიერ ხელმოკლეობას: სასამართლო მოღვაწეებს ამასთანავე არ შეუძლიათ სხვა რაიმე სამსახურში შესვლა, რომ ამით გაადიდონ საცხოვრებელი შრომის ხელფასი. შემდეგ მოხსენებაში მოყვანილია ის ზომები, რომელიც მიიღო უკვე იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოს დემოკრატიზაციისათვის და მის ხალხთან დასაახლოვებლად. მთელ რესპუბლიკაში შემოღებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, შემოღებულია ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეთა, გაუმჯობესებულია სავამომძიებლო საპროკურორო აპარატები და დაარსებულია ძველ კანონთა გადამსინჯავი კომისია. აღნიშნავს რა ადმინისტრაციის სრულ მოუმზადებლობას სისხლის სამართლის საქმეების გამოკვლევაში, იუსტიციის მინისტრი წინადადებას იძლევა ამ დეფექტის მოსასპობად მისცენ მილიციის მოხელეთ სათანადო ინსტრუქციები. მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე ერობათა და ქალაქთა თვითმართველობების ჩარევა სასამართლოს საქმეებში. ეს დაწესებულებები ძლიერ ხშირად იცავენ თავის მოსამსახურეთა აშკარა უკანონო საქციელს. ამიტომ ამ საქმეების აღნიშნულ ორგანოების გავლენისაგან განსათავისუფლებად საჭირო ხდება მათი (საქმეების) სასამართლოს გამომძიებლებზე გადაცემა, რომელთა რიცხვიც ისედაც მცირეა და რომლებსაც ისედაც ბევრი სამუშაო აქვს. მთელ მოხსენებაში გატარებულია აზრი, რომ რესპუბლიკის სასამართლო უნდა იდგეს ყოველგვარ პარტიულ და ჯგუფობრივ ბრძოლას გარეშე და რომ სასამართლო ასეთ შდგომარეობამდი ამაღლდეს საჭიროა მის საქმეებში მთავრობის ჩარევა. მოხსენების ბოლოს იუსტიციის მინისტრსსაჭიროდ მიაჩნია შემდეგი ღონის ძიებათა მიღება: 1. წინადადება მიეცეს განათლების სამინისტროს, რომ იურიდიულ ფაკულტეტის გახსნა დააჩქაროს. 2. საპროკურორო ზედამხედველობის მოსამსახურეთა და სასამართლოს მოღვაწეთა, როგორც საჭირო სპეციალისტების ნივთიერად უზრუნველყოფა. 3. სამხედრო და საგანგებო სასამართლოების გაუქმება. 4. შემოღება მთელს რესპუბლიკაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა. 5. უდიდეს საქმეთა გამომძიებელთა რიცხვის გადიდება. 6. სამსახურიდან დათხოვნა ადმინისტრაციის იმ მოსამსახურეებისა, რომლებიც თავის დროზე არ შეასრულებენ სასამართლოს დავალებას.

შრომის სამინისტროში.

არსენალის ადმინისტრაციამ აუწყა შრომის სამინისტროს, რომ არსენალის პატრონაყუმბარათა სახელოსნოების მუშათა საერთო კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს ადმინისტრაციას, რომ მან ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარეს 8 საათის მაგიერ დღეში 16 საათის ხელფასი მიეცეს და აგრეთვე ქარხნის კომიტეტის წევრებს ზედმეტი სამუშაოსათვის მისცეს ფული. ზედმეტი დრო უნდა განსაზღვროს საქარხნო კომიტეტმა. არსენალის ადმინისტრაცია აუწყებს რა ამ დადგენილებას შრომის სამინისტროს, კითხულობს უნდა შეასრულოს თუ არა მან მუშების ასეთი დადგენილება. შრომის სამინისტრომ არსენალის ადმინისტრაციას განუმარტა, რომ მან უნდა მისდიოს იმ წესრიგს, რომელიც ხელფასის მიცემაში არის დაწესებული. ამ წესების თანახმად კომიტეტის თავმჯდომარე ღებულობს ჩვეულებრივ ხელფასს. ამასთანავე შრომის სამინისტრომ მუშების ასეთი მოთხოვნილების შესახებ აცნობა მელითონეთა პროფ. კავშირის გამგეობას. ამასთანავე შრომის სამინისტრომ აღნიშნა, რომ თუ ქარხნის კომიტეტის წევრები ეწევიან საზოგადოებრივ მუშაობას, ეს მათ უნდა აუნაზღაუროს თვით მუშებმა და არა ადმინისტრაციამო.

მიმართვა სამაზრო ერობებს.

შრომის სამინისტრომ ყველა სამაზრო ერობას და ქალაქის გამგეობას შემდეგი მიმართვა გაუგზავნა:

შრომის სამინისტრო გთხოვთ, რაც შეიძლება მოკლე ხანში წარმოგვიდგინოთ ანგარიშები თქვენთან არსებულ სოციალურ დაზმარების განყოფილებისა. საჭიროა ცნობები, რამდენი თხოვნა იყო შემოტანილი, რამდენი გადმოეგზავნა სამინისტროს, რიცხვი კომისიაში გასინჯულ მოთხოვნილებისა და აგრეთვე ის ხარჯი (თვიურად), რომელიც თქვენ მოგვივიდათ ამ საქმის მართვა-გამგეობაში.

დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის სახელზე ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: ქუთაისში მცხოვრებ სომხების დიდი მიტინგი, აღშფოთებულია ოსმალეთის შემოსევით, სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთ ვერაგობის გამო და მოითხოვს ომის სასწრაფოდ შეწყვეტას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა სომხეთზე ძალადობის მოხდენის წინააღმდეგ თავის ხმას აღიმაღლებს.

— დამფუძნებელ კრების წევრმა გ. გვაზავამ (ერ. დემოკრ. წევრმა) [დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს განცხადება წარუდგინა სამი წარმომადგენელის დანიშვნის შესახებ. წარმომადგენლები უნდა დაესწრონ ხალხთა ლიგის მიერ ნოემბრის 12-თვის მოწვეულ კრებაზე. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა განიხილა რა ეს საკითხი ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე დაადგინა შეიტანოს იგი დამფუძნებელ კრებაში პირველ სხდომაზე და გადასცეს განსახილველად იურიდიულ კომისიას. გადაწყდა აგრეთვე დაუყონებლივ აცნობონ ამის შესახებ მთავრობას.

—დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმში შეტანილია წინადადება დამფ. კრების 4 წევრის საერთაშორისო შრომის ბიუროში დანიშვნის შესახებ.

— დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა: მისცეს წინადადება დამფ. კრებას ოქტ. 15 სხდომაზე, დამფ. კრების მუშაობის გადადების შესახებ ნოემბრის პირველამდე. მუშაობის გადადების მიზეზი შენობის შეკეთებაა.

ბაქოს სოვდეპი საქართველოს და სომხეთის შესახებ.

2 ოქტომბერს ბაქოს მუშათა, ასკერთა და მატროსთა დეპუტატების კრებაზე გარეშე საქმეთა კომისარს მირზა დ. ჰუსეინოვს გაუკეთებია მოხსენება საბჭოთა აზერბეიჯანის პოლიტიკის შესახებ. მოხსენებაში ჰუსეინოვი შეჰხებია საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს. მოგვყავს შემოკლებით ჰუსეინოვის აზრი:

საქართველოს შესახებ.

ქართველმა მენშევიკებმა გაიგეს თუ არა აზერბეიჯანში მომხდარი ცვლილება, შეშინებულებმა, მაშინვე გაგზავნეს ჯარები საზღვრებზე, გააყოლეს ჯავშნიანი მატარებლები და უბრძანეს ახლო-მახლო სოფლებზე მიეტანათ იერიშები. ამის შედეგი კი იყო ის რომ დაიწყო ომი და დაიღვარა სისხლი. რასაკვირველია ჩვენ შეგვეძლო გაგვეგრძელებინა ომი, მაგრამ ეს სრულიად ეწინააღმდეგებოდა მუშათა და გლეხთა მთავრობის ინტერესებს. 12 ივლისს ჩვენ დავდეთ საზავო ხელშეკრულება საქაროველოსთან. საზავო ხელშეკრულებამ ბევრი პრივილეგიები მიანიჭა საქართველოს, ეს მოწმობს იმას თუ ჩვენი კომუნისტური პოლიტიკა როგორი კეთილშობლიურია. რასაკვირველია ჩვენ შეგვეძლო სრულიადაც არ დაგვეკმაყოფილებინა მენშევიკების მადა, რომელნიც მოითხოვდნენ მთელ ყაზახის ოლქს, მაგრამ ჩვენ არა ვართ იმპერიალისტები. დღესაც არ გადაწყვეტილა ზაქათალის ოლქის საკითხი. საქართველო თხოულობს ამ ოლქს, რომელიც ეტნოგრაფიულად სრულიადაც არ წარმოადგენს საქართველოს საკუთრებას. შემდეგ ჰუსეინოვი ეხება ნავთის საკითხს და ამბობს რომ აზერბეიჯანმა აღუთქვა საქართველოს ორი მილიონი ფუთი ნავთი იმისთვის რომ აზერბეიჯანს ესარგებლა ბათომის რკინის გზის ხაზით ევროპასთან ეკონომიურ-ურთიერთობის კავშირის დასაჭერად, მაგრამ როგორც გავიგეთ ჩვენიდან გატანილ ნავთს ქართველები ვრანგელს უგზავნიან, რომელსაც სურს საბჭოთა რუსეთის დაბრჩობა და მაშასადამე ჩვენიც. სანამ საქართველოს მთავრობა ჩვენ არ დაგვარწმუნებს რომ გაგზავნილ ნავთს ჩვენ მტერს არ გაუგზავნიან ჩვენ არავითარ ხელშეკრულებას არ დავდებთო.

ამრიგად «გაწითლებული» აზერბეიჯანი ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს ასწდება და ენა ისე ვერ მოუბრუნებია, რომ მტკნარი სიცრუე და ცილისწამება არ დასდოს საქართველოს.

სომხეთის შესახებ.

სომხეთის მთავრობაც ისე მოიქცა, როგორც საქართველოს მთავრობა. სომხეთის პირველ მოვალეობას ჯერ ის შეადგენდა, რომ თავისი ხალხი დაერწმუნებინა ვითომ აზერბეიჯანში არავითარი გარდატეხა არ მომხდარიყოს და აქ ისევ მუსავატები ყოფილიყვენ. სომხეთის ხალხის „ამოჟლეტით“ დააშინეს. პროვოკაციით გაჟლენთილნი სულიმას ლამობდენ, რომ რაიმე მიზეზები გამოენახათ და ჩვენთან ომი აეტეხათ.

ცნობები

(გაზეთებიდან.)

ევ. გეგეჭკორი რომში.

„ეორვურ-ძაინ“-ის ცნობით ევ. გეგეჭკორს რომში ყოფნის დროს უნახულია სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი იტალიაში

მ. ვარანდიანი და მასთან დიდხანს უსაუბრია. ევ. გეგეჭკორს ლაპარაკის დროს, სხვათა შორის უთქვამს, რომ საქართველოს და სომხეთის ინტერესები ერთმანეთზე არის გადაწნული, ამისთვის საჭიროა წარსული ზოგიერთ გაუგებრობის დავიწყება, რათა ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის სრული სოლიდარობა და პატივისცემა დამყარდესო.

ხალხთა ლიგაში.

ხალხთა ლიგის საბჭო შეიკრიფება ქალაქ ბრიუსელში 20-ს ოქტომბერს. საბჭო გადასწყვიტავს დიპლომატიურ კომიტეტის გეგმას. ამ კომიტეტს დაევალება ალანდიის კუნძულების საკითხის გადაჭრა. ამას გარდა იგივე კომიტეტი ეცდება შვეციას და ფინლიანდიას შორის მოახდინოს შეთანხმება მშვიდობიანი გზით. მილანში იხსნება ხალხთა ლიგის საპროპაგანდო განყოფილება.

კარლ კაუცკი და მესამე ინტერნაციონალი.

დამოუკიდებელთა დებატების გამო მესამე ინტერნაციონალთან შეერთებაზე კარლ კაუცკიმ განაცხადა, რომ ამ დებატებში ის არ მიიღებს მონაწილეობას მიუხედავად იმისა, რომ ისინი მის სახელსაც ახსენებენ. კარლ კაუცკის მიუთითებია, სხვათა შორის, იმაზე რომ იგი მიემგზავრება საქართველოში იქაური წესწყობილების და ცხოვრების გასაცნობად.

პილსუდსკის განცხადება.

ვარშაველი კორესპონდენტი პარიზის გაზეთ „ენფოროსიანი“-ს თანამშრომელს მარშალ პილსუდსკისთან ჰქონია საუბარი. პილსუდსკის განუცხადებია, რომ პოლონეთის ფრონტი გაფართოვებულია. მისი არმია გადიდებულია და იგი ყოველთვის დაიცავს თავის თავს. მას აქვს ტაქტიკა და სამხედრო მოქმედება. არავის დაუთმობს თავის ტერიტორიას ერთ პატარა ადგილსაც. პოლონეთი თავის თავს თვითვე მოუვლის და კარგადაც წაიყვანს სახელმწიფოს საქმესო.

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

შაქრის სიმცირე ბერლინში.

შაქრის სიმცირის გამო აიკრძალა რესპუბლიკის საზღვრებიდან მისი გატანა.

ეკონომიური საბჭო.

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან არსდება ეკონომიური საბჭო. საბჭოში შევლენ ეკონომიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და მათ შორის პროფ. კავშირთა წარმომადგენლები.

კონცესია.

ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდა მისცეს რუს ინჟენერთა და კაპიტალისტთა ჯგუფს ბოსფორსა და სტამბოლს შუა კონცესია მიწის ქვეშ რკინის გზის გაყვანაზე.

მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ იუწყება: ერთა ლიგამ გადასწყვიტა დააჩქაროს საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება რუსეთში მყოფ ტყვეების გამოსასვლელ ნებართვის მიცემის შესახებ. ნანსენმა ერთა ლიგას აუწყა: რუსეთის ბანაზი, სადაც ტყვეები სცხოვრობენ, საშინელ მდგომარეობაში იმყოფებაო. თურქესტანში 200.000 ტყვეთაგან დარჩა მხოლოდ 70.000 დანარჩენები დაიხოცნენ, ან უგზო უკვლოდ დაიკარგენ. ციმბირში 200.000 ტყვე იმყოფება.

განცხადების მიღება.

„ნეიე-ფრეიე პრესი“ იუწყება: გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი განცხადება: ანტანტის სახელმწიფო გერმანიისა და რუსეთის დამოკიდებულების შესახებ აქვთ თავისი საკუთარი შეხედულება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გერმანია და რუსეთი ეკონომიურად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ამ ორ სახელმწიფოს კავშირი აუცილებელიაო. ამას გარდა სიმონსმა განაცხადა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ავსტრიასა და გერმანიაში მყოფ გერმანულ ტომების ფედერატიულად გაერთიანებაო.

„ტანი“ რუსეთის შესახებ.

„ტანი“ მოწინავე წერილში სწერს: ჩვენ საჭიროდ მივაჩნია მოვიშოროთ უაზრო ლეგენდა რუსეთში ექსპედიციის გაგზავნის შესახებ. საფრანგეთის მთავრობას ისე, როგორც ინგლისისას არ უფიქრია და არც ფიქრობს წითელ ჯარის წინააღმდეგ თავის ჯარების გაგზავნასო. სამხედრო თვალსაზრისით უაზრობა იქნებოდა ჯარის გერმანიასა და უსაზღვრო რუსეთში გადასროლა. ეს იქნებობა უაზრობა პოლიტიკური მხრივაც, ვინაიდან საფრანგეთის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას ვერსალის ხელშეკრულება, ამისათვის კი იგი დარაჯად იდგეს რეინთან. და არა ვითაზე. საფრანგეთის პოლიტიკა იმ იდეიდან გამომდინარეობს, რომელიც ლონდონშიაც მიღებულია, და ეს იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რუსებს ეძლევათ საშუალება თვით აირჩიონ მართველობის ფორმა, საფრანგეთი მხათ არის იცნოს რუსეთის ყოველ გვარი მმართველობა, რომელიც თავის სუვერენიტეტის განხორციელების ტერიტორიაზე შეიძლება ჩაითვალოს „მთავრობად“.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

სიმშილი.

საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ რუსეთში დიდი სიმშილი არის. რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, ზოგიერთ მაზრებში მცხოვრებნი 75% დაცოტავდენ. უმრავლესობა სიმშილით, ან სიცივით დაიხოცა. არის იმისთანა სოფლები, რომელიც სრულიად დაცალიერებულა და ხალხი გაკრეფილა. ძაღლსაც კი ვერა ნახავთ ისე მომკვდარა და განადგურებულა ყველაფერი. უდაბნოს მსგავსი რუსეთის ვრცელი მინდვრები არ იხვნება მუშა ხელის სიმცირის გამო. სიმშილობა გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ შარშან საბჭ. მთავრობამ გლეხებს წლის ჭირნახული რეკვიზიციის ძალით წაართვა. ხალხი ცალიერი დარჩა. სასოწარკვეთილი ყოველ იმედს და ღონეს მოკლებული უკანასკნელ ძალას ღა იკრებს ხალხი და საშინელ გაჭირვებაში ღაფავს სულს. უკმაყოფილება მეტად დიდია და საშინელი კატასტროფა აუცილებელია.

ტროცკი პოლონეთის ზავის წინააღმდეგ.

გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით ლონდონში მიღებულია ცნობები რომ სოვნარკომში დიდი განხეთქილება და აზრთა სხვადასხვაობა მომხდარა. ტროცკი ძალაზე სდგას რომ ომი გააძლიერონ პოლონელების წინააღმდეგ. ზავი პოლონეთთან შეუძლებელიაო განუცხადებია ტროცკის, რადგან ეს რუსეთის არმიას ზნეობრივად დასცემს და დაუკარგავს პატრიოტულ გრძნობებსო.

გენ. ტრუბაჩევსკის განდევნა.

ბალშევიკებმა განდევნეს გენერალი ტრუბაჩევსკი. სულ ახლო ხანში მათ ჩამოშორდათ ბუდიონნი. ეხლა ტრუბაჩევსკის უკმაყოფილონი ბევრს შესამჩნევ ძალას ჰკარგავენ. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია წითელ არმიის რღვევის პროცესი დაიწყოს. საბჭოთა მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს რომ ჯარისკაცთა დისციპლინა არ დაირღვეს.

ავადმყოფობა.

„იზვესტია“ იუწყება პეტროგრადში ყვავილის ავადმყოფობის გავრცელების შესახებ. მუშებს აიძულებენ რომ აიცრან. სათანადო ზომები უკვე მიიღეს. მუშას, რომელიც არ აიცრის; უსპობენ ჯამაგირს და ულუფას.

სახალხო გვარდიაში

სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიის შტაბში.

სამსახურიდან დათხოვნილია ქვემო აღნიშნული გვარდიელები, რომლებიც გაძევებული არიან სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიიდან ყაჩაღობაში და ქურდობაში შემჩნევის გამო: 1. მენაბდე ნიკოლოზ პავლეს ძე, 2. ნიკურაძე ისაკი სამუილის ძე, 3. რუხაძე ალექსანდრე იოსების ძე, 4. ჯულაყიძე კირილე არტემის ძე, 5. ჭახრაკია კოსტა გიორგის ძე, 6. ჭახრაკია მიხა გიორგის ძე, 7. ადეიშვილი ივანე ვასილის ძე, 8. კაკაძე ბიქტორ ათანასეს ძე, 9. ცინცაძე ალფეზ პავლეს ძე, 10. გვენეტაძე შალვა ზაქარიას ძე.

კოოპერატიული ცხოვრება.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში.

— 23 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე საქ. ცენ. კოოპ. კავშირის (ცეკავშირის) ბინაზე—კოოპერაციის ქ., სახლი № 15—დანიშნულია ცეკავშირის მოკავშირე სარაიონო კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლების, ეგრეთ წოდებულ მოკავშირეთა ბიუროს მორიგი სესია.

— ცეკავშირის გამგეობამ თავისი შემსყიდველი პუნქტი ქალ. ბათომში განყოფილებათ გადააკეთა, რომელიც მოთავსებულია მიხაილოვის ქუჩაზე, ს. № 10.

— ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრმა დე-ბრიუკერმა ორჯერ ინახულა ცეკავშირი, დაათვალიერა მისი მთავარი კანტორა, საწყობები, ძეხვის და საპნის ქარხნები, მექანიკური სახელოსნოები, სტამბა და ცეკავშირის გამგეობის წევრებთან ბაასით გაეცნო საქართველოს კოოპერაციის ეხლანდელ მდგომარეობას, ისტორიას და საჭიროებებს. ცეკავშირის გამგეობამ მას გადასცა მოკლე მიმოხილვა საქართველოს კოოპერატიულ მოძრაობისა, ცეკავშირის წესდება და უკანასკნელი წლის ანგარიშები ფრანგულ ენაზე.

— ცეკავშირის გამგეობამ გაგზავნა ლონდონში სადემონსტრაციოთ მისი კინემატოგრაფიული ქვეგანყოფილების მიერ დამზადებული კინემატოგრაფიული არშიები „ადერბეიჯანის ფრონტი“ და „ბათომის გადაცემა საქართველოსთვის“.

— ცეკავშირმა ქალაქთა კავშირთან ერთად შეიძინა შუშეულობის. ქარხანა ავჭალაში.

— ცეკავშირის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე ქ. ქ. ბათომში და ფოთში სატრანზიტო საწყობების გახსნის შესახებ.

— მომარაგების სამინისტროს დავალებით ცეკავშირი აწყობს აჭარის სხვა და სხვა პუნკტებში სასურსათო დუქნებს.

— ჭუთაისის რაიონის კოოპერატივთა კავშირის თხოვნით საქ. ცენ. კოოპ. კავშირმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე ხუთ-მილიონიან გრძელვადიან სესხის მიცემის შესახებ რაჭის მაზრის ეგრეთ წოდებულ „ყიფიანის ღვინის“ გასაღების—როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ კოოპერატიულათ მოსაწყობათ.

— იტალიანური ფირმა „ვალცი და ამხ.“-გისაგან ცეკავშირმა შეიძინა დიდძალი ფართლეულობა, შუშეულობა და სხვა ამგვარი, რომლის დიდი ნაწილიც უკვე განაწილებულ იქნა სარაიონო კოოპერატიულ კავშირთა შორის.

— ზუგდიდის მაზრაში და სოხუმის რაიონში მოეწყო მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობანი. აღნიშნული ამხანაგობები ღებულობენ მთავრობისაგან სესხათ თამბაქოს ღირებულებაში დახმარებას თანხებით წარმოების განსავითარებლათ, ასეთივე დახმარებას აძლევს ფინანსთა სამინისტრო ცეკავშირის მოსაშვალისათ ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის რაიონის მეთამბაქოებს

— ცეკავშირის სავაჭრო განყოფილებამ შეიძინა 200 მილ. მანეთის ფართლეულობა. ფართალი უმთავრესათ სოფლის მომხმარებელთათვის არის შერჩეული. მისი განაწილება სარაიონო კოოპერატიულ კავშირთა შორის უკვე დაიწყო. ცეკავშირმა წინადადებით მიმართა აგრეთვე რკინის-გზის სასურსათო კომიტეტს, ქალაქთა კავშირს, ერობათა კავშირს და სახალხო გვარდიის შტაბის მომარაგების განყოფილებას შეესყიდათ მისვან ეს ფართალი.

— ცეკავშირმა შეიძინა სააქციონერო საზოგადოება „ჩემოსაგან“ ათიათასი ტონა შავი ქვა საზღვარ-გარეთ გასატანათ.

— სპეციალური ხელშეკრულობით ცეკავშირმა იკისრა სახალხო გვარდიის მომარაგებელ განყოფილებისათვის 10.000 ფუთის ლობიოს დამზადება.

— სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა გადასცა ცეკავშირს ორასორმოცდაათამდე ოთხფეხი საჭონელი მის საკონსერვო ქარხანაში გვარდიისათვის ხორცის კონსერვებისათვის დასამზადებლათ.

— ცეკავშირს გაეხსნა სახელმწიფო ბანკში 10 მილ. მანეთის კრედიტი სავაჭრო ოპერაციების განსავითარებლათ.

— ცეკავშირის საგამომცემლო ქვეგანყოფილებამ დაბეჭდა და მოკლე ხანში გამოუშვებს გასაყიდათ ახალგაზდა ისტორიკოსის ს. კაკაბაძის თხზულებას „ქვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ“. დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ ცეკავშირის მიერ გამოცემული რუსულიდან თარგმნილი თხზულება ბოროვიჩისა „მუშათა კლუბები, მათი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა“. ივივე გამოცემის მიერ მიღებულია გამოსაცემათ ა. ბოგდანოვის ცნობილ უტოპიის „წითელი ვარსკვლავის“ თარგმანი.

— ცეკავშირის გამგეობა უკვე შეუდგა სარაიონო კოოპერატიულ კავშირთა შორის მომარაგების სამინისტროსაგან მიღებულ მატყლის განაწილებას.

— ევროპის სოციალისტურ დელეგაციის მოგზაურობა საქართველოში გადაიღო კინემატოგრაფიულ არშიაზე ცეკავშირის კინემატოგრაფიულმა ქვეგანყოფილებამ. ეს სურათი ნაჩვენებ იქნა მიმდინარე კვირაში—11—13 ოქტომბერს, ელექტრო-თეატრ „აპოლოში“, სადაც მოწვეულ იქნენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების, გვარდიის შტაბის წევრები და სხვანი.

ვალიუტის შესახებ.

ოქტომბრის 11 სავალიუტო კომიტეტმა განიხილა უცხოეთის ვალიუტის შესყიდვის ნებართვის პროექტი. პროექტის განხილვის შემდეგ მიიღეს შემდეგი ინსტრუქცია: 1. ვალიუტა მიეცეს სხვა და სხვა პირებს სათანადო საბუთების, ე. ი. კონსიამენტების, დუბლიკატების და სხვ. წარმოდგენის შემდეგ. ამასთანავე საჭიროა საბაჟოს მოწმობა: ტრანზიტზე უარის თქმის, შემოტანილ საქონლის უკან გაუტანლობისა და შემოტანის ნებართვის შესახებ. 2. საქონლის შესაძენად საზღვარ გარედ წასასვლელ პირთა თხოვნა ვალიუტის მიცემის შესახებ უნდა განიხილოს სავალიუტო კომიტეტმა, რომელიც მოსთხოვს ასეთ პირებს გარანტიას, რომ ისინი მართლაც შემოიტანებენ საქართველოში საქონელს და ან ვალიუტას უკან დააბრუნებენ. ამგვარ გარანტიათ ჩაითვლება თამასუქი და სხ. საბუთები. 3. საქონლის აკრედიტივი გაეხსნებათ იმ პირთ, რომლებიც შემდეგ ამას არსებულ ფაქტურით გადიხდიან. 4. უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის ვალიუტის გაგზავნას სახელმწიფო ბანკი უნდა ახდენდეს. 5. უცხოელებს, რომლებიც მსახურეპენ საქართველოში და ღებულობენ ჯამაგირს უცხოეთის ვალიუტით, შეიძლება საზღვარ-გარეთ ვალიუტა მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ნებართვით გაეგზავნოთ. 6. თხოვნებსა და საბუთებზე თუ ის დაკმაყოფილებულ იქმნა უნდა აღინიშნოს ვალიუტის მიღება და სათანადო ბეჭედიც დაეკრას. 7. გემით მოგზაურობის ხარჯების გადახდა ნებადართულ იქმნას უცხოეთის ვალიუტით. 8. იმ პირთ, ვისაც ვალიუტის უფლების შეძენა აქვს, მიეცეს ვალიუტის გადაცვლის უფლებაც.

დეპეშები

გენერალ სავოვის ჩამოსვლა პარიზში.

ხუთშაბათს პარიზში ჩამოვიდა ბულგარეთის ახალი ელჩი გენ. სავოვი. სადგურზე მას მიეგებენ საზავო კონფერენციაზე მყოფი ბულგარეთის დელეგაციის თავმჯდომარე და საელჩოს მდივნები.

პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ფიქრობენ, რომ საბოლოო ზავი რუსეთსა და პოლონეთის შორის ორი კვირის შემდეგ იქნება ხელმოწერილი. ფრანგული პრესის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად თ-დ სპანგას უარი უთქვამს რიგაში გამგზავრებაზე.

ცეცხლის გაჩენა გერმანიის ახალ გემზე, რომელიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა.

ამას წინეთ გამბურგში ცეცხლი გაჩნდა გემ „ბისმარკზე“ რომელიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა. ეხლა გერმანიის მეორე გემი „ვიქტორია ლუიზა“, რომლის წყალწყივან 17000 ტონს უდრიდა და რომელიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა.

პლებიცისტი პლაგენფურტში.

საფრანგეთის პრესამ გამოაქვეყნა კარინტიაში მომხდარ პლებიცისტის შედეგები: 22,025 ხმა მისცა ავსტრიას და 15,278 ხმა მისცა სამხრეთ სლავიას.

ფრანგ ჯარის კაცთა ძეგლი ლიუცერნში.

ოთხშაბათს დილით ბერნში მყოფ საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლის, კანტონალურ და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლობისა და სხ. თანადასწრებით აუგეს ძეგლი ფრანგ ჯარისკაცთ, რომელნიც შვეიცარიაში გარდაიცვალნენ.

სომხეთში

ოქტომ. 14. მერდენევის მიმართულება: აიბატის და კონეპდაგის სიმაღლეებთან ბრძოლა სწარმოებს გაძლიერებულ მტერთან.

ყარსის მიმართულება: სულეშ-კაია რაიონში ბრძოლები ჩვენი სასარგებლოთ სწარმოებს სალ-სელიმის დაკავების შემდეგ ჩვენი ნაწილები ერკოჩმაზისა და დეიკ-კეის მიმართულებით წინ იწევს. ჩვენ ირიშით ავიღეთ სოფ. ბერნა. ჩვენი ჰაეროპლანები მტრის „ავოზ“ ყუმბარებს ესროდენ. მტრის ბანაკში საშინელი პანიკაა.

ხელოვნება

ქართული დრამა.

დღეს განმეორებული იქნება შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი".

—ხვალ, პირველად ახალ დეკორაციებსა და ახალ ტანისამოსებში წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს ტრაგედია: „ოიდიპოს მეფე". შხატვარი გ. ერისთავი კლდიაშვილის სალამოსათვის საგანგებოდ ამზადებს ახალ დეკორაციებს. კლდიაშვილის პიესებიდან წარმოდგენილ იქნება 1) „დარისპანის გასაჭირი" და 2) „ირინეს ბედნიერება".

—მხატვარი ალ. ზალცმანი ამზადებს „ოტელოს" დეკორაციებს.

— ხუთშაბათს საღამოს შესდგა მორიგი სხდომა ქართული დრამის სარეპერტუარო კომისიისა; ამ სხდომაზე რეპერტუარში შეტანილ იქმნა შემდეგი პიესები: „სასტუმროს დიასახლისი"—გოლდონისა, „ავგაროზი"—შ. შარაშიძისა, „ტარტიუფი", „იქვით ავადმყოფი" და „ძალად დაქორწინება"—მოლიერისა, „იულიოს კეისარი"—შექსპირისა, „პადუის დედოფალი"—უაილდისა, „სევილიელი დალაქი"—ბომარშესი, „ვიდრე ხვალ უფალო"—სენკევიჩის რომანიდან, გადმოკეთებული—თარგმანი აკაკისა, „მეამბოხე"—შოუსი, „რევიზორი"—გოგოლისა.

ჰროვინციის ცხოვრება

ჯუგაანის თემი.

ამ წლის იანვარში მოხდა ჯუგაანის თემის მომხმარებელ საზოგადოების „ჩვენი ოჯახის" წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო სილნაღის მაზრის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელი გ. ბერძენიშვილი; დაწვრილებით განხილულ იქნა გამგეობის მოქმედება. ჯამათის შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ნოქარი გამოიცვალოს და გაუკეთდეს ჯეროვანი რევიზია მის ერთი წლის ნამუშევარს, გამგეობა დარჩეს ისევ ძველი შემადგენლობით. მაგრამ კრების დადგენილება არ იქნა სისრულეში მოყვანილი—ნოქარი ისევ თავის ადგილზე დარჩა რაზედაც საზოგადოების წევრებმა პროტესტი განუცხადეს გამგეობას. მიუხედავად ამისა გამგეობამ საზოგადოების საყვედურს ყური არ ათხოვა. ამ საქციელმა გამგეობისადმი ათასგვარი ეჭვები დაბადა, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ დღეს ხალხი ალმაცერად, უნდობლობით უყურებს კოოპერატივს, მაგრამ დღეს ეს ეჭვები უკვე გამართლდა. კოოპერატივში უკანასკნელად მომხდარმა ანგარიშებმა გამოარკვია, რომ ნოქარს გაუფლანგავს 4000 მან., რომლის გადახდის თანახმა არის ის, ეს არ კმარა, საჭიროა მისი ჯეროვანად დასჯა საჭიროა აგრეთვე პასუხი მოეთხოვოს გამგეობას, რომელმაც სისრულეში არ მოიყვანა საზოგადოების დადგენილება ნოქრის გადაყენების შესახებ.

მომხმარებელ საზოგადოების წევრი

მეთვალყურე.

სატარიფო პალატაში

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) დაამტკიცოს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ სექტემბრის 13 დამტკიცებული ტარიფი ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მუშებისა და მოსამსახურეებისა, 2) დაამტკიცოს ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირები.

რკინის გზაზე

რკინის გზელების მომარაგება.

რკინის გზელთა კავშირის სასურსათო განყოფილება რკინისგზელებს იაფასიან შაქარს, ჩაის, ბრინჯს, მარილსა და ასანთს ურიგებს, ამასთანავე კომიტეტი შეუდგა ესპანეთიდან მიღებულ მანუფაქტურის, ფეხსაცმელების და თბილ საცვლების მოსამსახურეთა და მუშებს შორის დარიგებას. სასურსათო განყოფილება იუწყება რომ იგი ახალსენაკში სიზღვარ გარედ გასატან შპალების დასამზადებელ ქარხანას ხსნის.

განცხადებანი

დაიკარგა დიანოსსი ბ სიგელი მირალი აბდულაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 2662. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3110 3—2

დაიკარგა 6 კლასის ატესტატი და 8 კლასის მოწმობა, მიღებული ქალთა საეპარქიო სასწავლებლიდან და მეტრიკული ამონაწერი ანასტასია მაქსიმეს ასული კახიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3129 3—2

დაიკარგა პასპორტი მარინა მიხეილის ასული ბარჟიცკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3119 3—2

დაიკარგა პასპორტი № 7517 კონსტანტინე პეტრეს ძე დმიტრიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3121 3—2

დაიკარგა ატესტატი და მოწმობა ტფილისის რეალური სასწავლებლის კურსის დამთავრების კონსტანტინე პეტრეს ძე დმიტრიევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3130 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი პროსკოვია ეგორის ასული კლიმენტიევის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3136 3—2

დაიკარგა რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებისგან მიცემული წიგნაკი № 8095, უფროს ლეიტენანტ სარალიძის სახელზე. გაუქმებ. ჩაითვლება. 3131 3—2

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ნიკოლოზ ზაქარიას ძე მდივანოვმა დაჰკარგა ოქმი აროყის გამოსახდელი ქვაბის ზომისა, 19 ოქტ. 1909 წლ. № 30, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 3134 3—2

დაიკარგა წიგნაკი ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებისა, № 8707, ლეიტენანტ მიხეილ ანანიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვლება. 3128 3—2

დაიკარგა შინაურული ნასყიდობის მოწმობა გიორგი დიმიტრის ძე ბიძინაშვილის სახელზე, მჯვრის ხევში მდებარე მამულის გაუქმებულად ჩაითვალოს. 47ლ 1—1

დაიკარგა ტფ. პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 88557 10,000 მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3114 3—2

საქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონემ მიხეილ პოპუაშვილმა დაჰკარგა ღვინის ჩამოტანის ნებართვა ამხან. „ერთობასი" მიცემული 28 იანვ. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 3116 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა იპოლიტე სილიას ძე გიორგობიანის სახელზე, მიღებული მეორე რაზმიდან. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3104 3—3

დაიკარგა გვარდიის ვაგზლის რაიონის შტაბიდან მიღებული წიგნაკი № 50 ბენიამინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3093 3—3

დაიკარგა მატრიკული ეკატერინე სტეფანეს ასული ზალატარიევის სახელზე. მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3098 3—3

დაიკარგა მოწმობა ვლადიმერ გულაევის სახელზე, მიღებული სარეზერვო გვარდიის ორთაჭალის შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3101 3—3

ტფილისის არტილერიის საწყობის მუშა-მოსამსახურეთა საქარხნო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ რომ ა. წ. 5 ოქტომბერ არსენალის ბაქანზედ (ტუპიკში) არტილერიის საწყობის სახელზედ მოვიდა ერთი ვაგონი რომელშიაც აღმოჩნდა 110 ტომარა კარტოფილი რადგანაც კარტოფილი ფუჭდება 13 ოქტომბრიდან სამი დღის განმავლობაში გვაცნობოს პატრონმა და წარმოადგინოს ყველა დამამტკიცებელი საბუთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნახსენები კარტოფილი იქნება განაწილებული საწყობის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

სახარხნო კომიტეტი.

3107 3—2

დავკარგე მთავრობის საქმეთა მართველობის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა № 1235, 1919 წ. 5 მაისის თარიღით, რომელსაც ამით გაუქმებულად ვაცხადებ. გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟენერი ჭიპინაძე. 937 3—3

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 1951 ბეცალელ ეხისკელას ძის კვიტელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3090 3—3

დაიკარგა ტფ. საადგილ მამულო ბანკის საგირაო ფურცლები და საწინდარი მოწმობა მიცემული დავით გრიგორის ძე ტერ-სააკოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3094 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 361 მათე დიომიდის ძე პოლიშჩუკის სახელზე, მიღებული ვარშავაში მესამე უბნის საბოქაულოდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3095 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ეუშაჯ შალომის ძე ტეცოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3106 3—2

დაიკარგა პასპორტი № 25270 ლიდა პავლეს ასული დორუნოვას სახელზე, მიღებული კავკასიის საოლქო შტაბიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3109 3—2

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 139412 კაპიტონ პეტრეს ძე ჭიტუანის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3153 3—1

ქ. ტფილისის მე-17 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მატრონა ალექსის ასულ კარჩაგინას ქონების მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კარჩაგინის დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3148 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, ძველი წივთებით ვაჭრობის ნებართვა, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სანხედრო აღრიცხვის უფროსისგან და ხუთი ფუთი ხორბლის დუბლიკატი ნერსეს გრიგოლის ძე პოგოსოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3145 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1236 ვერა სტეფანეს ასული სალიფოვის სახელზე, მიღებული ბათომის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3139 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი, სამოვოლნი ქუჩაზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ერმილე ნეფარიძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3142 3—1

დაიკარგა პასპორტი ალი ნაგი მამედ ჯაფარ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3143 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 78 ვასილი გიორგის ძე ჩახავას სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა მეხუთე გიმნაზიიდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3144 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ონის საბ. კომისრისაგან და მეტრიკული მოწმობა ვლადიმერ ალექსის ძე ხომასურიძეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3092 3—3

მარიამ ნიკოლოზის ასული თოფურიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლის 7 კლასის დამთავრების ატესტატი, 9 კლასის დამთავრების დიპლომი შინაურ დამრიგებლის წოდებით. გაუქმებულად ჩაითვლება.

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 3550 ნიკოლოზ ანდრიას ძე კაციტაძის სახელზე მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3165 3—1

დაიკარგა პასპორტა ოსმან მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3166 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სტეფანე მიხეილის ძე აბესალომოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3167 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3865 არსენ აზროას ძე პეტროსოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3168 3—1

დაიკარგა ასიგნობის ტალონი № 4867 812 მან. და 60 კ.—ს. ელექტრონის სადგურის „სირიუსის" მეპატრონეს სიმონ ზაქარიას ძე ტომაშევის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3169 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 1169 ივანე დარისპანის ძე საყვარელიძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3170 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა, პასპორტი და ორი ერთდროული ბილეთები სისო დიმიტრის ძე ფხაკაძის სახელზე, ივანე ოქროპირის ძე ვაშაკიძის მინდობილობა და პასპორტი სოფიო საბას ასული ფხაკაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3151 3—1

დაიკარგა პასპორტი № 5287 ნიკოლოზ გაბატაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3154 3—1

დაიკარგა პასპორტი № 5418 ანა გრიბენიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3155 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ნიკოლოზ მიხეილის ძე სანჟარაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3156 3—1

დაიკარგა პასპორტი № 7639 გალუსტა ვოსკანის ძე შახნაზაროვის სახელზე, გაუქმებულა ჩაითვალოს. 3157 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაშადი მიკაილ მირზა გაჯი ოღლი მირზაევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3613 3—1

დაიკარგა პასპორტი ბეგრამ მურზალი ოღლის სახელზე, მიღებული აგდაშიდან, ბაქოს გუბერნია გაუქმებულად ჩაითვალოს. 3264 3—1

სამხედრო სამმართველო თანახმად 1920 წ. ოქტომბრის 2-ის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს ცხენოსანი პოლკის ჯ. კ. ვლადიმერ დიმიტრის ძე ახვლაძე 23 წლისა, რომელიც მიცემულია სამართალში თავის ნებით გუნდის დატოვებისათვის.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ვლადიმერ დმიტრის ძე ახალაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 932 3—3

დაიკარგა ფართლეულობით ვაჭრობის ნებართვა № 268 იაკუბ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3086 3—3

ქალ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსი ამით აცხადებს,

რომ 23 ამა ოქტომბერს დღის 11 საათზე აღრიცხვის ნაწილში (ვაგზლის ქუჩა, № 24) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ყოფილ ტფ. მაზრის სამხედრო გამგეობის ძველი საქმეების სახვევ ქაღალდებზე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველნი უნდა გამოცხადდენ ზემოხსენებულ დროს აღნიშნულ აღრიცხვის ნაწილში.

1—1

944

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ ბაქრაძე.

სახელმწიფო სტამბა.